# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N85/ს

ქ. მცხეთა

27 ოქტომბერი 2015 წელი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულების საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში `შემსყიდველი", გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ `ზვიად გარსევანიშვილის" , სახით, შემდგომში „მომწოდებელი~, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1. სოფ. ვარდისუბანში დაზიანებული გზის შეკეთების სამუშაოები სოფლის შესასვლელში- 5941 ლარი. (CPV45200000).

## 2. სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;
2.2 ხელშეკრულების საერთო 5941 (ხუთიათას ცხრაასორმოცდაერთი) ლარი.

## ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით.
3.2 სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა №2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში), რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა თანდართულ პროექტთან, ნახაზებთან, სპეციფიკაციებთან, ესკიზებთან და სხვა.
3.3 დასრულებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, მათ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი „მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამუშაოს მიმღები კომისია". დასრულებული სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის მიერ ხელმოწერილ აქტს ამტკიცებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
3.4 შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია.
3.5 შემსყიდველი იტოვებს უფლებას დაიტოვოს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 20%, რომლის ანაზღაურება მოხდება სამუშაოს დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას.
4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს, ობიექტზე შესრულებული სამუშაოების აქტების (ე.წ. ფორმა#2 ან/და ფორმა#3) შეფასებას, ინსპექტირებას და ხელისმოწერით დადასტურებას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ `მომწოდებელი” და `შემსყიდველი” მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 30 მარტის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მოწოდებელი“

ი/მ „ზვიად გარსევანიშვილი“
ს/კ 31001014884
ბანკი: „ლიბერთი ბანკის “
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE88BG70112133217376000
მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის N99
599 28 19 95

ინდ/ მეწარმე

ზ. გარსევანიშვილი

„შემსყიდველი“

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კ 236098824
ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22
ა/N GE24NB0330100200165022
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

გამგებელი

ზ. აბესაძე